



საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებში სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლის ამაღლების გზები

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში „საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებში სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლის ამაღლების გზები“. გადმოცემულია ინფორმაცია იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. განხილულია შესაბამისი კანონის მუხლები, და მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ფაქტიურად კონტროლის სრულყოფის რეკომენდაციებს წარმოადგენენ. წინადადებები პრევენციული ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გათვალისწინება სამეწარმეო კომპანიების ფინანსური დისციპლინის დონეს ამაღლებს შესაბამისად არც სახელმწიფოს მხრიდან იქნება ისეთი მკაცრი კონტროლის სისტემა, აუცილებელი რომელიც დღეს არსებობს საწარმოთა საქმიანობის შემოწმების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“; საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“; საქართველოს საგადასახადო კოდექსი. ალტერნატიული საგადასახადო კონტროლი.

შესავალი

აღნიშნულ სტატიაში განხილულია საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებში სახელმწიფოებრივი ფინანსური კონტროლის ამაღლების გზები.

კონტროლი არის შიდასაფირმო, საუწყებო, საერთო-სახელმწიფოებრივი და დამოუკიდებელი (გარე აუდიტი). თითოეული მათგანის მიზანია ორგანიზაციაში დარღვევების აღმოჩენა და ღონისძიებების გატარება მათ აღმოსაფხვრელად.

ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართვე-

ილია ჩიბიროვი

**საქართველოს საპატრიარქოს წმინდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული
უნივერსიტეტის დოქტორანტი
E-mail: ilochibirov@yahoo.com**

ლოშიც ამ პროცესს სახელმწიფო არეგულირებს. სახელმწიფო ქმნის შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, რომელიც ამ პროცესის, ე.ი. კონტროლის საკანონმდებლო უზრუნველყოფას წარმოადგენს.

საბაზრო ურთიერთობის განვითარებამ განაპირობა დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის სრულიად ახალი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების მიღება, რითაც საწარმოთა (ორგანიზაციების) საქმიანობის სამართლებრივი საკითხები, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება, დაბეგვრა, და ა.შ. რეგულირდება. საქართველოში აუდიტური საქმიანობა და აუდიტის პროფესია თავის თანამედროვე სახით შედარებით ცოტა ხნის წინ გამოჩნდა და ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში სულ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა. (ქეთევან ღუდუშაური №4 2014;171)

საქართველოში ამ მიზანს ძირითადად ემსახურება:

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
2. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“;
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. ამ კოდექსის მე-VII¹ თავი იწოდება „ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით“ და მისი 21¹ და 21³ მუხლები მთლიანად ეძღვნება ამ საკითხს.

საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“. ამ კა-



ნონის მეორე და მესამე თავები უშუალოდ ეხება სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს საქართველოში.

ამ კანონის მესამე მუხლში დაფიქსირებულია, რომ „მეწარმის სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების წინადადებას სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს“. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით კი, ამის უფლება ჰქონდა მხოლოდ მაკონტროლებელ ორგანოს.

საქართველოს კანონი აუდიტის სამსახურის შესახებ. საქართველოში, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებამ მოითხოვა ეკონომიკური საქმიანობის და სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სამსახურების მოქმედების აუდიტური კონტროლის ხარისხის არსებული სისტემის სრულყოფა. ამ მიზნით, 2012 წელს საქართველოში არსებული კონტროლის პალატის ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ახალი უწყების შექმნის ძირითადი მიზანია სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაცია-დაწესებულებების საქმიანობის ეფექტიანად და სწორად მართვა-გამგეობა, ასევე, არასახელმწიფოებრივი (არასამთავრო) და პარტიული ორგანიზაციების შემოსავალ-გასავლის მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის სისტემის მონიტორინგის გაძლიერება, აგრეთვე, დამოუკიდებელი კერძო სექტორის (კომერციული) საწარმოების ეკონომიკური მუშაობის (საქმიანობის) შედეგების მიხედვით ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების გაანგარიშება და დროულად შეტანა. (ჭიჭიკო ადგიშვილი, 2013; 153).

სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს აუდიტს იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნებია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას. აღნიშნული კანონიდან ჩვენს მიერ საყურადღებოა შემდეგი მუხლები: მუხლი-3; 4; 5; 6; 17; 19; 24; 27; 261.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი. ახალ საგადასახადო კოდექსში, რომელიც

ამჟამად არის მოქმედებაში (ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან). კონტროლს დათმობილი აქვს მე-12 თავის 95-ე მუხლი – „მცირე და მიკრობიზნესის საგადასახადო კონტროლი“ და კარი XII-ის (საგადასახადო კონტროლი) 36, 37-ე და 38-ე თავები.

ამ კოდექსის 95-ე მუხლში ვკითხულობთ:

1. საგადასახადო ორგანოებმა მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განახორციელონ მიმდინარე საგადასახადო კონტროლის შემდეგი ღონისძიებები:

- ა) საქონლის (მომსახურების) საკონტროლო შესყიდვა;
- ბ) დათვალიერება;
- გ) საკონტროლო აპარატების გამოყენების წესების დაცვა;
- დ) ქრონომეტრაჟი;
- ე) ინვენტარიზაცია.

უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს კომპანიებში, კერძოდ კი სამშენებლო კომპანიებში, ფინანსურ კონტროლთან შედარებით გაცილებით მაღალ დონეზე დგას სახელმწიფოებრივი ტექნიკური კონტროლი, ამ სფეროში 40-მდე საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტია შექმნილი (ფინანსური კონტროლს კი როგორც ზევით ავღნიშნეთ, 5-მდე ასეთი აქტი და მის საფუძველზე შექმნილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ამდენივე ბრძანება აკონტროლებს). მათ შორისაა კანონები: სამშენებლო საქმიანობის შესახებ, არქიტექტორული საქმიანობის შესახებ, არქიტექტურ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ, მშენებლობის ნებართვების შესახებ, სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ, მშენებლობის ლიცენზირების შესახებ და მრავალი სხვა.

მართალია, სიმრავლე ყოველთვის არ განსაზღვრავს ხარისხს, ალბათ, მათშიც არის რაღაცა ხარვეზები, მაგრამ ისინი ერთმანეთს მანც ავსებენ. თანაც, პერმანენტულად მიმდინარეობს მათი განახლება და ახალი დოკუმენტების მიღება. მაგალითად, სულ ახლახან შემუშავდა სამშენებლო კოდექსი, შეიქმნა სამშენებლო „ნორმები და წესები“, დაიწყო მუშაობა „სამშენებლო კლიმატოლოგიაში“ საპროექტო ნორმების შედგენაზე და ა. შ.

მთელი ეს საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტები ეხებიან მხოლოდ მშენებლობას და მხოლოდ მის ტექნიკურ მხარეს - ტექნოლოგიას, ტექნიკას, დაპროექტებას, ეკოლოგიას, არქიტექტურას და ა. შ. მათში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები მშენებლობის ეკონომი-



კახე, მ. შ. მშენებლობის ფინანსურ მხარეზე, მოთხოვნებზე მათ მიმართ და ა. შ.

სამშენებლო კომპანიების ეკონომიკის და ფინანსების სფეროები, ისე როგორც სხვა დარგის კომპანიები კონტროლდება იმ საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით, რომლებიც შექმნილია კომპანიების ფინანსური საქმიანობის რეგულირების და კონტროლისთვის. ესენია: საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, კანონით „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და ა. შ. ეს კანონები საერთოა ყველა დარგის კომპანიებისთვის. მათ არანაირი რანჟირება არც დარგების მიხედვით აქვთ, არც რეგიონების მიხედვით, არც ქვეყნის პრიორიტეტული სფეროების მიხედვით და არც საწარმოთა სიდიდის მიხედვით. ჩვენ არასწორად მიგვაჩნია ამ ნორმატიული აქტების გამოყენების ერთგვაროვნება ყველა დარგის, სფეროს და ყველა სიდიდის საწარმოთა მიმართ.

გარე ფინანსური მონიტორინგის განხორციელების ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტია, საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კონტროლთან მიმართებაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის იზოლირებული განხილვა მიზანშეუწონელია. იგი უნდა განვიხილოთ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ კანონთან ერთად, რადგანაც ეს არის ის სამსახური, რომელიც ამ კოდექსის რეალიზაციას ახდენს საქართველოში. სწორედ ამ კანონის მე-6 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში დაფიქსირებულია, რომ ამ სტრუქტურის ფუნქციებში ცხადია სხვა ფუნქციებთან ერთად, შედის: 1. გადასახადის გადამხდელისათვის მისი უფლებების და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება („ა“ - პუნქტი); 2. გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. რაც ვთვლით, რომ სათანადოდ არ ხორციელდება. ამ ეტაპისათვის შემოსავლების სამსახურმა მართლაც დაიწყო მეწარმეებთან პარტნიორობა - დაინერგა პირადი საგადასახადო აგენტის ინსტიტუტი, შემოვიდა ალტერნატიული საგადასახადო კონტროლი. ალტერნატიული საგადასახადო კონტროლის (აუდიტის) პროექტი, („აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ №6, 2011; 13-14.) - მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მით უფრო რომ ორივე ეს სამსახური ფასიანია უფრო მეტი უნდა გაკეთდეს და მათ შორის ფართო პარტნიორული ნდობა ჩამოყალიბდეს.

რამდენიმე სიტყვით შევხერხებით ალტერნატიულ აუდიტზე, პროექტზე, რომელიც ჯერ კიდევ 2011 წლის 2 ივნისს გაუღერდა შემოსავლების სამსახურის პრეზენტაციაზე სასტუმრო „შერატონ მეტეხში“. ამ პროექტით მეწარმეს უფლება მიეცა აირჩიოს ვინ ჩაუტარებს შემოწმებას - შემოსავლების სამსახური, აუდიტორული კომპანია თუ საკონსულტაციო ჯგუფი. მეწარმეებს ეს მოეწონეთ, შემოსავლების სამსახურმა აირჩია რამდენიმე აუდიტორული კომპანია.

ასეთი მიდგომით დაკვეთები მხოლოდ ამ რამდენიმე კომპანიას ექნება. ამის გარდა, შემოწმებულ აუდიტორულ კომპანიას მეწარმემ მომსახურების ფასად 1000 ლარამდე უნდა გადაუხადოს. (ი. პაპასქუა, „ალტერნატიული აუდიტის“ პოლარული პოლუსები, ბიზნესი და კანონმდებლობა, ოქტომბერ-ნოემბერი, 2011; 13.)

თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, ეს მომსახურება უფასო უნდა იყოს, რადგან თუ მეწარმეებს შემოსავლების სამსახური ჩაატარებდა ასეთ მომსახურებას, ის უფასო იქნებოდა. არც ის მიგვაჩნია სწორად რომ ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების შემდეგ მაკონტროლებელ ორგანოს უნარჩუნდება ხელმეორედ მეწარმის შემოწმების უფლება (განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს დასაშვებად მიგვაჩნია, მაგრამ არა ყოველთვის).

ასე რომ, ეს ახალი პროექტიც კი, რომელიც ვითომდა მეწარმეების ინტერესების დასაცავად შეიქმნა, მრავალი საკითხი გამოსწორების, სრულყოფის სურვილს ტოვებს.

საგადასახადო კოდექსის 131 მუხლის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის განზრახ წარუდგენლობა გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, კერძოდ, საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის ამოწურვიდან 1 წელზე მეტი ხნით საგადასახადო დეკლარაციის წარუდგენლობა, თუ ასეთ მოქმედების შედეგად გადაუხდელი გადასახდელი თანხა აღემატება 25.000 ლარს, განიხილება გადასახადისაგან თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად“. ჩვენთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რომ რომელიმე მეწარმე ამას განზრახ გააკეთებს, თუ მან იცის, რომ მასზე სისხლისსამართლებრივი დევნა აღიძვრება, შემთხვევით კი ეს შეიძლება მოხდეს. თუ გამოვა ისე, რომ გადამხდელი ამ შემთხვევითობას ვერ დაადასტურებს და ალბათ ვერც დაადასტურებს გამოვა ისე, რომ გადამხდელი დაისჯება. ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვნად მიგვაჩ-



ნია ისეთი ღონისძიებების გატარება რომლის მიხედვითაც როგორც კი ამოიწურება დეკლარაციის წარდგენის ვადა, სასწრაფოდ ატყობინებს მას ამის შესახებ არანაკლებ 3-ჯერ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლი 139 - „მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დარღვევა“. ამ მუხლის მიხედვით პირველი დარღვევის შემთხვევისას მეწარმე ჯარიმდება 500 ლარით, მეორე - 5000 ლარით, მესამე - 10000 ლარით. ჯარიმის ეს განაკვეთები საერთოა და არ ითვალისწინებს მეწარმის ბრუნვას. ჩვენი აზრით, ჯარიმები დიფერენცირებული უნდა იყოს ბრუნვის მოცულობის მიხედვით.

ასევე ავლიწნავთ, რომ ასეთი კანონების და კოდექსების პროექტები მათი საბოლოოდ დამტკიცებამდე მეწარმეებთან საჯაროდ უნდა იხილებოდეს, მაშინ სახელმწიფოსა და მეწარმეთა შორის ამდენი დავებიც აღარ იქნებოდა, რაც ამჟამად არის.

საერთო ღასკვნა

საბოლოოდ ყურადღებას შევაჩერებთ იმ საკითხზე, რომ სამშენებლო კომპანიების ტექნიკური კონტროლის საკანონმდებლო ბაზა სრულყოფილია, მდიდარია, ფართოა, საფინანსო კონტროლისა კი - მწირი და ის რაც არის, ისიც ზოგადი და საერთოა ყველა დარგის და ყველა სიდიდის კომპანიისთვის. ჩვენი აზრით, თუ იმას ვერ გავაკეთებთ, რომ იგი ყველა დარგზე შევქმნათ, ის მაინც გავაკეთოთ, რომ საწარმოო სპეციფიკა ავსახოთ მასში.

მეორე, საწარმოებს აუცილებლად უნდა დავუწესოთ ფინანსური ნორმები. პირველ რიგში, საჭიროა საკუთარი კაპიტალის და ნასესხი კაპიტალის ნორმების დაწესება. საქართველოს სამშენებლო კომპანიებს, რომ ეს ნორმები დაწესებული ჰქონებოდათ, სათანადო კონტროლის პირობებ-

ში ისეთ კრიზისში არ ჩავარდებოდნენ როგორშიც ჩავარდნენ. საზღვარგარეთ კომპანია ვერ დაიწყებს საქმიანობას თუ კაპიტალის მთელი საჭიროების 50% (თუ მეტი არა) მაინც საკუთარი კაპიტალი არა აქვს. ჩვენთან კი „სოკოებივით მომრავლებულმა“ სამშენებლო კომპანიებმა მხოლოდ ბანკების სესხებით დაიწყეს მუშაობა და როცა სესხების წყარო ამოიწურა, შედეგიც სავალალო მივიღეთ - დაზარადა მენაშენე მოსახლეობა, დაზარადადნენ ბანკები და დაზარადადნენ თვით სამშენებლო ორგანიზაციები.

მესამე, ფინანსური ნორმების დადგენა საკმარისი არ იქნება, თუ მათი დაცვა არ ვაკონტროლეთ. ანუ როცა სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმურ შემოწმებაზე შედის მან საწარმოს გადახდისუნარიანობის შემოწმების დროს უნდა გააკონტროლოს მის აქტივებში დაცულია თუ არა საკუთარი და ნასესხი კაპიტალის ნორმები. კომპანიას, რომელიც არღვევს ამ ნორმებს უნდა ჩამოერთვას ლიცენზია.

მეოთხე, საქართველოს განათლების სისტემაში დაინერგა კერძო სასწავლებლების სახელმწიფო აღიარების პოლიტიკა (აკრედიტაცია). ამის მისაღებად ისინი მეტად მკაცრ შემოწმებას გადიან - მოწმდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი და ა. შ. ჩვენი აზრით, ასეთი სისტემა უნდა დაინერგოს ყველა დარგში, მ. შ. მშენებლობაშიც და შემოწმდეს ვის ხელშია საქართველოს კაპიტალური მშენებლობა. ეს კომპანიები შეიძლება კარგი გადამხდელები არიან ბიუჯეტისთვის, მაგრამ თავიანთი არაპროფესიონალიზმის გამო, მოსახლეობაც დაზარადადეს და რაც მთავარია, საფრთხის ქვეშ დააყენეს ქვეყნის საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება - მათ მილიონობით ვალი აქვთ კომერციული ბანკების, რასაც ვერ აბრუნებენ. ასე რომ, ფინანსური კონტროლი კომპანიაში აღმოჩენილ სამართადლდარღვევის ნეგატიურ შედეგებს მიკრო ღონის საფრთხეების ღონეზე უნდა აფასებდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
2. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“;
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

5. (ქეთევან ღუდუშაური №4 2014;171)
6. (ჭიჭიკო ადუიშვილი, 2013; 153)
7. („აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ №6, 2011; 13-14.)
8. (ი. პაპასქუა, „აღტერნატიული აუდიტის“ პოლარული პოლუსები, ბიზნესი და კანონმდებლობა, ოქტომბერ-ნოემბერი, 2011; 13.)



THE WAYS FOR RAISING OF THE STATE FINANCIAL CONTROL IN THE SMALL AND MEDIUM GEORGIAN

ILIA CHIBIROV

*PhD student of St. Andrew the First-Called
Georgian University of the Patriarchate of Georgia
E-mail: ilochibirov@yahoo.com*

Summary

The issues related to the financial control of the companies in Georgia is studied in theoretical and practical aspects to the strategic direction;

The general state financial control legislative base of the companies is analyzed and assessed (Laws: about Entrepreneurship Control, about the State Audit Office, the Administrative-procedure Code, Tax Code, and so forth.) and the comments and recommendations are issued;

The thesis work gives the proposals in order to correct the shortcomings detected during the study, which are in fact recommendations for improvement of the control. Majority of our proposals are preventive in nature, which means that if they are introduced, the level of financial discipline in the enterprise will be increased. Total control by the state, in financial law, which currently exists in Georgia, will no longer be required in the future: As we mentioned above, the overall state financial control in entrepreneurial companies is provided based on the 5-6 legislative documents. We have given a list, discussion and evaluation as well. We also concluded that they demand for improvement and perfection. They need improvement of the cases that the same issue is interpreted in a different variety what lead to confusion of entrepreneurs. Each of the article in all of these documents need to be matched and bring to compatible to one another.

Key words: Laws, about Entrepreneurship Control, about the State Audit Office, the Administrative-procedure Code, Tax Code, alternative control.